ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები[1]

ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისას უნივერსიტეტში არსებული ყველა ის მიდგომა გამოიყენება, რომელიც დანერგილია პირისპირ ჩასატარებელი სასწავლო კურსების შეფასებისთვის. ამავდროულად, დამატებით ყურადღება ექცევა ელექტრონული სწავლებისთვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ ხუთ მიმართულებაში: **სასწავლო პროცესის მართვა და რესურსები; ელექტრონული კურსის სპეციფიკა და ხარისხის უზრუნველყოფა; ავტონომიურობა და აკადემიური თავისუფლება; აკადემიური კეთილსინდისიერება; სტუდენტთა მხარდაჭერა.**

[1] აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა ENQA, QA, Middle States Commission on Higher Education მიერ შემუშავებული დოკუმენტები ელექტრონული სწავლების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვა და რესურსები

- უნივერსიტეტში შემუშავებულია ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი;
- ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია;
- ელექტრონული სწავლებისათვის უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და მისი მხარდაჭერის გეგმა;
- უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურ(ებ)ი და პირებ(ებ)ი, პასუხისმგებელნი არიან ელექტრონული სწავლების ტრეინინგების უზრუნველყოფაზე, რომელთაც შესაბამისი რესურსებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცოდნა აქვთ და შეუძლიათ აკადემიური პერსონალის დახმარება ელექტრონული სწავლების პროცესში;
- უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ელექტრონული სწავლების მიმართულებით; აკადემიურ პერსონალს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ელექტრონული სწავლების პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკის, ელექტრონული სწავლების საჭირო ტექნოლოგიისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის („software”) გამოყენების შესახებ;
- უნივერსიტეტი ფლობს პროცედურას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში შეთავაზებულ კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ნამდვილობის დადგენა. სტუდენტი კურსზე დარეგისტრირებისას გადის ვერიფიკაციის პროცედურას;
- ელექტროული სწავლების პორტალზე დაცულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები;
- დისტანციური სწავლების პორტალი ინახავს სტუდენტების წერითი ნაშრომებსა და სინქრონულ კომუნიკაციაში წარმართულ დისკუსიებს;

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ონლაინ სივრცეში ქცევის წესები (ნეტიკეტის წესები);

ელექტრონული კურსის სპეციფიკა და ხარისხის უზრუნველყოფა

- სასწავლო კურსის დისტანციური კომპონენტები შეესაბამება პირისპირ წასაკითხ სასწავლო კურსს და უზრუნველყოფს იმავე სწავლის შედეგებზე გასვლას;
- სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;
- სასწავლო კურსის დისტანციური კომპონენტებში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები ადეკვატურია აღნიშნული საგნის სპეციფიკის და სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული ჯგუფის მოცულობის;
- დისტანციური სწავლება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტსა და ლექტორს შორის ინტერაქციას;
- ელექტრონული სწავლებისას გამოიყენება შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- ელექტრონული სწავლება გამოიყენება სასწავლო კურსების მხოლოდ იმ კომპონენტების განსახორციელებლად, რომელთა წარმართვაც შესაძლებელია დისტანციური სწავლების რეჟიმში;
- ინფორმაციის გაცვლის მიზნით შექმნილია სტუდენტთა სადისკუსიო ჯგუფები; ასევე გამოცდილების გაზიარებას ემსახურება ონლიან სივრცე აკადემიური პერსონალისთვის;
- აკადემიური პერსონალი მომზადებულია და შეუძლია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის პორტალის (LMS) /ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება;
- აკადემიური პერსონალი ეფექტურად იყენებს ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიებსა და ელექტრონული შეფასების მეთოდებს;

- დაინტერესებული მხარეები (განსაკუთრებით სტუდენტები) აქტიურად არიან ჩართულები ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში;
- უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სასწავლო კურსის დისტანციური კომპონენტების მონიტორინგი და შეფასება ფაკულტეტების მიერ;
- მუდმივად მიმდინარეობს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება ელექტრონული სწავლების გასაუმჯობესებლად.

ავტონომიურობა და აკადემიური თავისუფლება

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ქმნის და უძღვება სასწავლო კურსებს დისტანციური სწავლების კომპონენტებით;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი პასუხისმგებელია მიწოდებული მასალის შესაბამისობაზე, ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

აკადემიური კეთილსინდისიერება

- ელექტრონული სწავლების პროცესში სასწავლო პროცესში ჩართული პირები განუხრელად იცავენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.

სტუდენტთა მხარდაჭერა

- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას ელექტრონული სწავლების პროცესში;
- სტუდენტთა ინფორმირება ელექტრონული სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უწყვეტია;
- სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული შეფასება გაასაჩივრონ ონლაინ რეჟიმში;

- თუ სტუდენტებს არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან და/ან არ აქვთ შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობები, მათთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენებისთვის მზადდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- უცხოელი სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტში არსებული სერვისებით (სასწავლო კურსები, სასწავლო მასალა, ინფორმაცია, ტექნოლოგიური მხარდაჭერა(ტუტორიალები და ტრენინგები), კონსულტაციები) უცხო ენაზე.